MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

აპრილი - ივლისი 2023

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996

გვერდი 1

სიტუაციური სახელმძღვანელოები

გვერდი 2

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: ცინცაძის ქ.12/გამრეკელის 2. 0160, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996

- როგორც ცნობილია, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს ხე-ტყის აღრიცხვის პროექტი. აღნიშნულის ფარგლებში ცვლილება განხორციელდა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში, რომლის თანახმად იცვლება ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესი და განისაზღვრება ხე-ტყის საწყისი ნაშთების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ვადები.

- ცვლილების თანახმად გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით, მის საკუთრებაში არსებული ხე-ტყის ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2023 წლის 15 ივლისისა. გარდა აღნიშნულისა, იცვლება ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის წესი და 2023 წლის 15 ივნისიდან ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის საფუძველი იქნება ხე-ტყის სასაქონლო შეტყობინება. ხე-ტყის ნაშთების და მოძრაობის აღრიცხვა კი განხორციელდება ხე-ტყის აღრიცხვის ელექტრონული მოდულის სატესტო ვერსიის მეშვეობით. ამასთან, განხორციელებული ცვლილების თანახმად, ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების გამოწერის ვალდებულება არ გავრცელდება ერთხელ უკვე გამოყენებული (მეორადი) ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას. გაითვალისწინეთ, რომ ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის 15 ივნისიდან.

- მიმდინარე წლის 31 მაისს ცვლილება განხორციელდა ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ,,გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში, რომელიც ამოქმედა 2023 წლის 1 ივლისიდან. ცვლილების თანახმად 2023 წლის 1 ივლისიდან სავალდებულო მარკირებას დაექვემდებარა ნებისმიერი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული არაალკოჰოლური სასმელი, გარდა სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონარულად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების გადასაზიდი ჭურჭლისა და იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე არაალკოჰოლური სასმელისა. ამასთან, 2023 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად ცხადდება „სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არაალკოჰოლური სასმელების ნუსხის და თითოეული სასმელის სახეობაზე სავალდებულო მარკირების დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს №256 ბრძანება და აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დებულებები გათვალისწინებული იქნება ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანების 781 მუხლში.

MOORE

სიტუაციური სახელმძღვანელოები

დამტკიცდა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვანელოები:

- საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავება ფიზიკურ პირზე N 1518
- ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისას N 2328
- ფიზიკური პირის მიმართ საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულება N2435

ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებაში (ნაწილი I) განხორციელებული ცვლილება:

2023 წლის 13 ივლისის განხორციელებული ცვლილებით „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანების დანართი №9 ჩამოყალიბდეს ახლებური რედაქციით, რომლის მიხედვითაც ახლებურად განიმარტა „საკასო შემოსავალი" და „საკასო ხარჯი".

ასევე, აღნიშნული ცვლილებით, პირის საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება შესამოწმებელი პერიოდის ბოლო საანგარიშო პერიოდის (კალენდარული თვის) არაგონივრული ნაშთის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, აღნიშნული თანხა კვალიფიცირდება როგორც საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი.

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

- უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა. კერძოდ, მიმდინარე წლის 29 მაისს ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის გარდამავალი დებულებების 309-ე მუხლს დაემატა 135-ე-140-ე ნაწილები, რომლითაც უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე გავრცელდება შემდეგი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ:

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან;

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა თავისუფლდება ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან;

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქონლის იმპორტისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები;

- უეფა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საქართველოში გამოყენებულ ქონებაზე თავისუფლდებიან ქონების გადასახადისგან;

- დანიშნული პირის მიერ მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან;

- უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ წარმოეშობათ ამ კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტის ვალდებულება. ამასთანავე, აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მომსახურების გაწევა არ ექვემდებარება დღგ-ით უკუდაბეგვრას;

- ზემოაღნიშნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების ორგანიზება და ჩატარება არ წარმოშობს საქართველოში მუდმივ დაწესებულებას.

ამასთან, განხორციელებული ცვლილებით დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

- პირის მიერ უეფასთვის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, ან/და დანიშნული პირისთვის იმ საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

- უეფას 2023 წლის 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია.

MOORE

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **"Moore Global Network Limited "-** ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114	>260	>579	>30,809
ქვეყანაში	წევრი	ოფისი	თანამშრომელი

MOORE Abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

OUR SERVICES



www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.